

ერთი დისკუსიის ისტორიისათვის: ქეთევან ლომთათიძე V.S. გიორგი სერდიუჩენკო

ავტორი: თეიმურაზ გვანცელაძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო თბილისი
E-mail: gvantseladzet@gmail.com

ანოტაცია

აკად. **ქეთევან ლომთათიძე** (1911-2007 წწ.) ავტორია 400-ზე მეტი ნაშრომისა, რომლებშიც განხილულია აფხაზურ-ადიღური და ქართველური ენა-კილოების სტრუქტურა და ისტორია. მეცნიერს ცხოვრება და მუშაობა მოუხდა საბჭოთა კავშირში არსებულ უმძიმეს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ვითარებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სრულიად ახალგაზრდა იქცა ლინგვისტური კავკასიოლოგიის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად. ქართველ მკვლევარს საყურადღებო დისკუსია ჰქონდა კომუნისტური იდეოლოგიის ადეპტთან, პროფ. **გეორგი სერდიუჩენკოსთან** (1904-1965 წწ.).

გ. სერდიუჩენკომ აბაზური დიალექტების კვლევა დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. მალე იგი გავლენიან ფიგურად იქცა და პრაქტიკულად აკონტროლებდა ენობრივ ვითარებას ჩრდილოეთ კავკასიაში. 1945 წელს გადაიყვანეს სსრკ მეცნ. აკად. რუსული ენის ინსტიტუტში, სადაც აქტიურად დევნიდა ტრადიციული ენათმეცნიერების მიმდევრებს. 1948 წელს გ. სერდიუჩენკო დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის გამგედ და პრაქტიკულად გახდა საენათმეცნიერო კავკასიოლოგიის პირველი პირი.

ქ. ლომთათიძემ 1944 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში უარყოფითად შეაფასა გ. სერდიუჩენკოს ერთი ნაშრომი: გ. სერდიუჩენკო სწორად ვერ აღიქვამს ფონემებს, სიტყვათა აგებულებას და ენის უმარტივეს ერთეულებსო. 1949 წელს ქ. ლომთათიძემ გამოსაქვეყნებლად გადასცა მწვავედ კრიტიკული რეცენზია გ. სერდიუჩენკოს სტატიების შესახებ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომებში“ გამოსაქვეყნებლად. რეცენზიაში გამოვლენილი იყო ელემენტური შეცდომები და პლაგიატობის შემთხვევები. „შრომების“ ეს ტომი სტამბამ დაბეჭდა, მაგრამ იგი შეაჩერეს, ხოლო ქ. ლომთათიძეს აფხაზეთის იმდროინდელმა პირველმა პირმა აკაკი მგელაძემ ურჩია, რეცენზიის ამონაბეჭდს გადმოეცემთ, კრებული კი უმისოდ გავრცელდებო. ქ. ლომთათიძის ეს რეცენზია დაურიგდათ ბიბლიოთეკებსა და ცნობილ ენათმეცნიერებს. ამას ისიც დაერთო, რომ გ. სერდიუჩენკო ამხილეს იმ დროს უკვე გარდაცვლილი გამოჩენილი მეცნიერის, პროფ. **ანატოლი გენკოს** მონოგრაფიის მითვისების მცდელობაში. ამ ამბებს დიდი რეზონანსი მოჰყვა: გ. სერდიუჩენკო ჩამოაცილეს კავკასიოლოგიას, ხოლო ქ. ლომთათიძე ცნობილი გახდა როგორც უშიშარი და სამეცნიერო ეთიკის პრინციპების ერთგული მეცნიერი.

გ. სერდიუჩენკოს უკან არ დაუხევია და 1955 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ ნაშრომში „აბაზური ენა (ზოგადი ცნობები აბაზების შესახებ, მათი დიალექტები, ფონეტიკა, მორფოლოგია, ტექსტები და

ლექსიკონი“ გამოავლინა არაკომპეტენტურობის ახალი მხარეები და პრაქტიკულად დაასმინა პროფესორები: ქ. ლომთათიძე, გ. როგავა და არნ. ჩიქობავა, რომლებიც თურმე არასწორად იყენებდნენ ტერმინ „აფხაზურ-ადილური ენებს“ და თვითნებურად შეჰყავდათ ამ ჯგუფში არა ხუთი, არამედ სამი ენა: აფხაზური, ადილური და უბიხური, რითაც უარყოფენ აფხაზურისა და ყაზარდოულის არსებობას, რაც ეწინააღმდეგება საბჭოურ პოლიტიკასო.

გ. სერდიუჩენკოს ამ გამოხდომის შემდეგ პროფ. ქ. ლომთათიძე დიდხანს რჩებოდა თავის თვალსაზრისზე აფხაზურ-ადილურ ენათა ჯგუფის შედგენილობის შესახებ: ტერმინი „აფხაზური ენა“ მის ნაშრომებში პირველად იქნა გამოყენებული 1971 წელს, ხოლო ტერმინი „აფხაზურ-ადილური ენები“ არც მას, არც გ. როგავასა და არნ. ჩიქობავას არასოდეს უარუყვიათ.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენის კვლევის ისტორია , აფხაზური ენის კვლევის ისტორია , ქეთევან ლომთათიძე , გიორგი სერდიუჩენკო , საენათმეცნიერო დისკუსიები სსრკ-ში , ლომთათიძისა და სერდიუჩენკოს დისკუსია

შესავალი

აკად. ქეთევან ლომთათიძე ავტორია ქართულ, აფხაზურ-აფხაზურ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული 400-მდე სამეცნიერო ნაშრომისა.

ქ. ლომთათიძეს ურთულეს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, იგი სრულიად ახალგაზრდა გახდა აფხაზურ-ადილურ ენათა კვლევის ლიდერი. ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ქ. ლომთათიძეს დიდი დრო და ენერგია დასჭირდა ჯერ 1949-1955 წლებში კომუნისტური იდეოლოგიის ადეპტთან, პროფ. გიორგი სერდიუჩენკოსთან დისკუსიისათვის, 1950 წელს კი პარალელურად მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლების შესახებ გამართულ პრინციპულ დისკუსიაშიც.

ძირითადი ნაწილი

რუსეთის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი სერდიუჩენკო (1904-1965 წწ.) XX საუკუნის 30-იან წლებში ჩაერთო აფხაზური დიალექტების კვლევის საქმეში და განსაკუთრებული როლი შეასრულა აფხაზური სამწიგნობრო ენის ლათინიზებული დამწერლობიდან რუსულ დამწერლობაზე (კირილიცაზე) გადაყვანის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პროცესში. მისივე სიტყვით, სწორედ მას შეუძუმძავებია რუსულისაგან განსხვავებული აფხაზური ფონემების კირილიცათი

გადმოცემის, რუსიზმების, ინტერნაციონალიზმებისა და სოვეტიზმების მართლწერის დრაკონული წესები, რაც გულისხმობდა შემდეგს:

1. რუსული ენის ფონემებისაგან განსხვავებული უკლებლივ ყველა ფონემა უნდა გადმოცემულიყო რუსული ასოების კომბინაციებით ისე, რომ არ შეცვლილიყო რუსულ ასოთა გრაფიკული ფორმა დიაკრიტიკული ნიშნებით. ერთადერთი დამატებითი გრაფიკული ელემენტი უნდა ყოფილიყო ლათინური მთავრული ასო I, ანუ „ერთის“ აღმნიშვნელი რომაული ნიშანი;
2. აბაზურ სამწიგნობრო ენაში უნდა გამოყენებულიყო უკლებლივ ყველა, 33-ვე რუსული ასო, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა შესაბამისი ფონემები აბაზურს;
3. ყველა ინტერნაციონალიზმი, სოვეტიზმი და ახალი ნასესხები რუსიზმი (მათ შორის გვარსახელები, პირსახელები, ტოპონიმები...) უნდა დაწერილიყო ზუსტად იმ ორთოგრაფიული ფორმით, როგორც იწერებოდა რუსულ ენაზე (სერდიუჩენკო, 1955 : 91-92).

რეალურად ეს პროექტი მიზნად ისახავდა აბაზური საარტიკულაციო ბაზისის მორყევასა და რუსული ენიდან აბაზურისათვის უჩვეულო ფონემებისა თუ ბგერათკომპლექსების დაჩქარებულ დამკვიდრებას, რისი საბოლოო შედეგი აბაზების გარუსების პროცესისათვის საარტიკულაციო ნიადაგის წარმოქმნა უნდა ყოფილიყო (სხვათა შორის, გ. სერდიუჩენკოს მიერ შემუშავებული დასახელებული წესები დღემდე არ გაუქმებულა).

XX საუკუნის 40-იან წლებში გ. სერდიუჩენკო უკვე ძალზე გავლენიანი პირი გახდა. იგი 1937-1945 წლებში იყო დონის როსტოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგე და პრაქტიკულად აკონტროლებდა ენობრივ სიტუაციას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (ადიღეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში).

1945 წელს გ. სერდიუჩენკო გადავიდა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტის გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. ამ ინსტიტუტში მუშაობის დროს მან ცნობილ რუსისტ ფედოტ ფილინთან, აგრეთვე მ. გუხმანთან, ვ. ავრორინთან, ტ. ლომტევეთან ერთად წამოიწყო იმ მეცნიერთა დევნა, ვინც არ იზიარებდა ნ. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის „მეთოდს“, შემჩნეული იყო „კოსმოპოლიტიზმში“ და ბედავდა „ბურჟუაზიული ენათმეცნიერების“ მიღწევათა ციტირებას (იხ.: რუსლანგ.რუ). მაგალითად, რუსული ვიკიპედიის ცნობით, ამგვარ დევნას 1949 წლის შემოდგომაზე შესწირვია ცნობილი ლენინგრადელი ენათმეცნიერის, უნგრულ-ფინური ენების მკვლევრის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. დმიტრი ბუბრიხის სიცოცხლე. იგივე ჯგუფი დევნიდა

აგრეთვე გამოჩენილ რუსისტს, აკად. ვიქტორ ვინოგრადოვსაც, რომელსაც ბრალს სდებდნენ „კოსმოპოლიტიზმსა“ და „ბურჟუაზიული მეცნიერების“ ცოდნაში (იხ.: ვიკიპედია, ბუბრიხი; ვიკიპედია, ფილინი).

შენიშვნა : აკად. ქ. ლომთათიძემ ჩვენთან საუბარში გაიხსენა, რომ ერთხელ, 40-იან წლებში მას და აკად. ს. ჯანაშიას გ. სერდიუჩენკოსთან ერთად მოუხდათ მატარებლით მგზავრობა სოხუმიდან თბილისამდე და როცა გ. სერდიუჩენკოს გაუბამს საუბარი ქ. ლომთათიძესთან, ს. ჯანაშიას ქართულად უთქვამს, „ქეთო, ამ კაცს ერიდე, არაფერი წამოგაცდენინოს“-ო.

1948 წელს გ. სერდიუჩენკო დაინიშნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის გამგედ, ანუ გახდა მეთვალყურე ლინგვისტური კავკასიოლოგიისა. 1950 წელს გამართული საენათმეცნიერო დისკუსიის მერე იგი, როგორც საღი აზრის მდეველი, ჩამოაშორეს მოსკოვის უნივერსიტეტს და გადაიყვანეს აზიის ხალხთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც შესაბამისი ენების უცოდინრად მუშაობდა ჩინეთის უმცირესობათა ენების დამწერლობათა რეფორმის საკითხებზე.

გ. სერდიუჩენკოს ჰქონდა უსაზღვრო პრეტენზია აბაზური დიალექტების გამორჩეულ მკვლევრობაზე, თუმცა მისი პუბლიკაციები გვიჩვენებენ, რომ მას არ ჰყოფნიდა კომპეტენცია საიმისოდ, რომ სწორად აღექვა აბაზური ფონემები, სიტყვათა სტრუქტურა, უმარტივესი ენობრივი მოვლენებიც კი... სწორედ ამგვარ კაცთან მოუწია პრინციპულად დაპირისპირება ქ. ლომთათიძეს:

ქართველმა მეცნიერმა გ. სერდიუჩენკოს ნაწერები პირველად შეაფასა 1944 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“, რომლის წინასიტყვაობაში გ. სერდიუჩენკოს 1938 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის («Об абазинских диалектах», დაიბეჭდა კრებულში: «Сборник памяти Н.Я. Марра») შესახებ წერდა:

„ამ სტატიას, როგორც პირველ ნაბიჯს აბაზების მეტყველების მეცნიერული შესწავლის საქმეში, უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პრინციპული ხასიათის საკითხები (როგორცაა: აბაზურის, როგორც ენობრივი ერთეულის, კვალიფიკაციის საკითხი, ტაპანთურ და აშხარულ დიალექტთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, დიალექტთა კილოკავებად დაყოფის საკითხი და სხვა) სადავოა.

არას ვიტყვით ამ დიალექტთა მორფოლოგიური დახასიათების შესახებ. ეს მხარე, შეიძლება ითქვას, სტატიაში ოდნავ დამაკმაყოფილებლადაც არ არის წარმოდგენილი; თვით ავტორივე შენიშნავს, რომ ტაპანთურსა და აშხარულს შორის ზუსტი მორფოლოგიური სხვაობის დასადგენად საჭიროა მათი დამატებითი კვლევა.

დამაკმაყოფილებლად არ არის გამოვლენილი არც ფონეტიკური სისტემა მაშინ, როდესაც აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემისათვის ამ დიალექტთა მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კიდევ მეტი: ავტორს ზოგჯერ ვერ შეუნიშნავს გარკვეული კანონზომიერება ფონეტიკურს მოვლენაში. იგი განუზოგადებია და ამის გამო გარკვეულს შემთხვევებში სანდო არ არის არც ფაქტიური მასალა“ (ლომთათიძე 2019 : 13-14. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

ამ სამაბზაციან მონაკვეთში ქ. ლომთათიძე პრაქტიკულად სრულად იწუნებდა გ. სერდიუჩენკოს სტატიას, რომელშიც მართლაც მცდარად იყო განხილული აბაზური სამეტყველო ერთეულების სტატუსი, ფონოლოგიური სისტემა, მორფოლოგია და კილოკავების გამოყოფის პრობლემა, ხოლო ფაქტობრივი მასალა სანდოდ არ იყო ჩაწერილი.

ქ. ლომთათიძემ რუსულად დაწერა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების XXIII ტომში დასაბეჭდად გადასცა მწვავე კრიტიკული რეცენზია გ. სერდიუჩენკოს 3 სტატიის შესახებ - „Некоторые замечания на работы проф. Г.П. Сердюченко по абазинскому языку“. რეცენზიაში დასაბუთებული იყო სარეცენზიო ნაშრომების ავტორის ელემენტარული უვიცობა და პლაგიატობა. დასკვნაში რეცენზენტი წერდა (მოგვყავს დასკვნის ქართული თარგმანი):

„პროფესორ გ. სერდიუჩენკოს ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომებში არ არის თითქმის არცერთი დებულება, რომლებიც განეკუთვნება ავტორს, პროფესორ გ. სერდიუჩენკოს და არ იქნება სადავო: შენიშვნათა ჩარჩოებმა არ მოგვცეს საშუალება, შევჩერებულიყავით მათზე უფრო დაწვრილებით. თუმცა ამისი აუცილებლობა არც არის.

თვით იქიდანაც კი, რაც ჩვენ მიერ ზემოთ არის აღნიშნული, უეჭველად გამოდის, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ მიერ განხილული ნაშრომების ავტორი, პროფ. გ. სერდიუჩენკო, ვინც საკუთარ თავს წარმოგვიდგენს აბაზური ენის ერთადერთ სპეციალისტად, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ფლობს საკვლევ მასალას და ამიტომ არ ძალუძს გაერკვეს აბაზური ენის თუნდაც ელემენტარულ ფაქტებში.

მეორე, ავტორი, პროფ. გ. სერდიუჩენკო, უხეშად არღვევს საბჭოთა მეცნიერი მუშაკის ეთიკის ელემენტარულ მოთხოვნებს და დუმილით უვლის გვერდს მის ხელთ არსებულ ნაშრომებს, რომლებსაც იგი ნამდვილად იყენებს და თავს უფლებას აძლევს უარყოს კიდევ მათი არსებობა“ (ლომთათიძე 1949 : 178) [ქ. ლომთათიძე აქ გულისხმობდა თავის მონოგრაფიას „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“, რომელიც გ. სერდიუჩენკოსთვისაც გაუგზავნიათ თბილისიდან პირადად ამ უკანასკნელის თხოვნით.].

ქ. ლომთათიძის ამ გაზედული კრიტიკის შემცველ რეცენზიას (იმ დროს იოლი სულაც არ იყო რომელიმე რუსი მეცნიერის გაკრიტიკება, მით უმეტეს, თუ მის უვიცობასა და უზნეობას ამხელდნენ!) უცნაური ბედი ეწია: სამეცნიერო კრებულის სრული ტექსტი სტამბამ ააწყო და ტირაჟი დაბეჭდა კიდევ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაც „ფხიზელმა“ სოხუმელმა ცნობა რუსი ავტორის „შევიწროების“ შესახებ „სათანადო“ ინსტანციებს მიაწოდა, წიგნი დააპატიმრეს, ხოლო ქ. ლომთათიძე სასწრაფოდ სოხუმში გამოიძახეს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან გასაუბრების მიზნით. როგორც ქ. ლომთათიძე იგონებდა, ა. მგელაძემ მეცნიერს უთხრა:

-მე ვერ ვერკვევი ამ საკითხებში, მაგრამ მჯერა, რომ მართალი ხართ, თუმცა, მიუხედავად ამისა, თქვენს სტატიას კრებულში მაინც ვერ დავტოვებთ. ეს სახიფათოა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც! ეს კრებული რომ არ დაიხუროს და თქვენი სათქმელიც ადრესატებამდე მივიდეს, გთავაზობთ ასეთ გზას: დიდი რაოდენობით მოგცემთ ამ სტატიის ცალკე ამონაბეჭდს და ვისაც გსურთ, მათ გადაეცით, ან გაუგზავნეთ, კრებული კი უმისოდ გამოვაო (იმ დროს სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული სტატიების ამონაბეჭდების ავტორებისათვის დარიგება ჩვეულებრივი მოვლენა იყო).

მეცნიერი დაეთანხმა ამ რჩევას. მას მართლაც გადასცეს ამონაბეჭდები, რომლებიც ქ. ლომთათიძემ დაარიგა და დაგზავნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში, რამაც ყუმბარის ეფექტი გამოიწვია. მკვლევრის სიტყვით, სხვადასხვა ეროვნების ჰუმანიტარი მეცნიერები მისადმი გამოგზავნილ წერილებსა და პირად საუბრებში აღშფოთებას გამოხატავდნენ გ. სერდიუჩენკოს საქციელის გამო. ჩვენი ვარაუდით, ამ დიდი ეფექტის გამომდინარე უნდა ყოფილიყო ის, რომ გ. სერდიუჩენკო 1950 წლიდან გადააყენეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის გამგის თანამდებობიდან და გადაიყვანეს აზიის ხალხთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ქ. ლომთათიძეს ამ რეცენზიამ დიდი მხარდაჭერა და პატივისცემა მოუტანა მთელ საბჭოთა კავშირში. აქვე უნდა ითქვას, რომ მისი სტატია ერთგვარი „დაზვერვითი ბრძოლა“ აღმოჩნდა 1950 წელს დაწყებული ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის წინ, რომელშიც აკად. არნოლდ ჩიქობავას მეთაურობით აქტიურად ჩაება გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერთა მთელი კრებული ქ. ლომთათიძის ჩათვლით. საბოლოოდ გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ, უკუგდებულ იქნა აკად. ნიკო მარის მიერ შექმნილი და დანერგილი „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ და ენათმეცნიერება მთელ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში დაუბრუნდა განვითარების ბუნებრივ კალაპოტს. ამაში ქ. ლომთათიძესაც, როგორც საღად მოაზროვნე მეცნიერთა ერთ-ერთ ლიდერს დიდი წვლილი მიუძღოდა.

40-იანი წლების მიწურულს სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც ლენინგრადის ციხეში 1941 წელს გარდაიცვალა ნიჭიერი კავკასიოლოგი, პროფესორი ანატოლი გენკო (1896-1941 წწ.), მისი მონოგრაფია ტაპანთური დიალექტის შესახებ გამოსაცემად მომზადების მიზნით გაუგზავნიათ დონის როსტოვის მთიელთა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (Горский научно-исследовательский институт), საიდანაც ხელნაწერი მოხვედრილა გ. სერდიუჩენკოს ხელთ, მას კი ჩერქეზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოსაცემი ლიტერატურის სიაში შეუტანივნებია თავისი სახელით დასაბეჭდად. გ. სერდიუჩენკოს წიგნის ტექსტის ა. გენკოს ხელნაწერთან შესადარებლად 1949 წელს საგანგებოდ შექმნილა ექსპერტთა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პროფესორები: ნიკოლაი ჩემოდანოვი, ევგენი ბოკარიოვი და ლეონიდ ლავროვი. კომისიამ დაასკვნა, რომ გ. სერდიუჩენკოს პირველწყაროზე მიუთითებლად მითვისებული ჰქონდა ა. გენკოს წიგნის დიდი ნაწილი.

როგორც პირადად ქ. ლომთათიძისაგან ვიცით, ექსპერტთა კომისიის მიერ გ. სერდიუჩენკოს მხილების შემდგომ ა. გენკოს მეუღლე ლ. პანევი დაუკავშირდა ქ. ლომთათიძეს და სთხოვა, მასაც დაეწერა დასკვნა. ვიკიპედიის ცნობით ირკვევა, რომ ქართველმა მეცნიერმა ლ. პანევს უპასუხა 1951 წლის 8 მაისის წერილით, რომელშიც ეწერა: «Обращает на себя внимание то обстоятельство, что **даже ошибки, допущенные покойным Анатолием Несторовичем, повторяются в статьях Г.П. Сердюченко**» („ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ განსვენებული ანატოლი ნესტორის ძის [გენკოს] მიერ დაშვებული შეცდომებიც კი მეორდება გ. სერდიუჩენკოს სტატიებში“ (იხ.: ვიკიპედია, გენკო. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.). საბოლოოდ ა. გენკოს მონოგრაფია ქ. ლომთათიძისა და აკად. ბორის სერებრენიკოვის რედაქტორობით გამოიცა 1955 წელს (გენკო 1955).

ამ ამბების შემდგომ ქ. ლომთათიძე თავის რიგით მეორე მონოგრაფიის წინასიტყვაობაში მოკლედ წერდა:

„გ. სერდიუჩენკო სტატიაში «Об абазинских диалектах» (კრებულში: «Сборник памяти Н.Я. Марра», 1936) ცდილობს მიუთითოს ტაპანთურისაგან განსხვავებულ ენობრივ მოვლენებზე აშხარულში, მაგრამ მას **სრულიად შეუმჩნევლად დარჩენია ყველა არსებითი მორფოლოგიური და სხვა თავისებურება**, ხოლო ის თავისებურებები, რაზედაც მითითებულია (უმთავრესად ფონეტიკასა და ლექსიკაში), **მოკლებულია სისრულესა და, რაც მთავარია, - სიზუსტეს**“ (ლომთათიძე 1954 : X, შენ. 1. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

მხილებულმა გ. სერდიუჩენკომ არ მოისვენა და 1955 წელს გამოსცა ვრცელი, 296-გვერდიანი ახალი ნაშრომი პრეტენზიული სათაურით: „Язык абазин (Общие сведения об абазинах, их диалекты, фонетика, морфология, тексты и словарь)“, რომელიც რსფსრ-ს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ამავე აკადემიის ეროვნული სკოლების

ინსტიტუტისა და ჩერქეზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების გაერთიანებულ კრებულად იწოდებოდა. ამ ნაშრომის მთავარი ადრესატი ქ. ლომთათიძე იყო (ამაზე სათაურიც მეტყველებს), რომელთან ერთადაც გ. სერდიუჩენკო აუგად იხსენიებდა (ფაქტობრივად, აბეზლებდა) მის მეუღლეს, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა მკვლევარს გიორგი როგავასა და აკად. არნოლდ ჩიქობავას.

ქ. ლომთათიძემ ამ პროგნოზიკული გამოხდომას არ უპასუხა და სწორადაც მოიქცა, რადგან რუს ავტორს ლამის ყოველ გვერდზე ჩამოუწერია ახალ-ახალი „აღმოჩენები“, რომელთა საფუძვლიანი კრიტიკა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. გარდა ამისა, გ. სერდიუჩენკოს ზურგსუკან საბჭოური იდეოლოგიური სისტემა იდგა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დაპყრობილ ხალხთა დაქუცმაცებისათვის „სამეცნიერო საფუძვლების“ მომზადება იყო.

თავისი „მონოგრაფიის“ წინასიტყვაობასა და აბაზური ენის შესწავლის ისტორიის მიმოხილვაში გ. სერდიუჩენკო ბრალს სდებდა ქ. ლომთათიძეს, გ. როგავასა და არნ. ჩიქობავას იმაში, რომ ისინი „არასწორად“ იყენებდნენ ტერმინს „აფხაზურ-ადიღური ენები“ და ამ ჯგუფში მხოლოდ 3 ენას გამოყოფდნენ (აფხაზურს, ადიღურსა და უბიხურს), ხოლო დამოუკიდებელ ენებად არ მიიჩნევდნენ არც აბაზურს და არც ყაბარდოულს (სერდიუჩენკო, 1955, გვ. 4-6, 33-35). გ. სერდიუჩენკოს მიერ ქ. ლომთათიძის მიმართ წაყენებული ბრალდებებს შორის ყველაზე სახიფათო შემდეგი იყო:

1. იმით, რომ ქართველი მეცნიერი აბაზურ დიალექტებს აბაზურ ენად არ განიხილავდა და აფხაზური ენის ნაწილებად თვლიდა, თურმე ქ. ლომთათიძე ართმევდა აბაზებს დამოუკიდებელ ეროვნებად, ხოლო აბაზურ ენას ცალკე ენად არსებობის უფლებას;

2. გ. სერდიუჩენკო წერდა, ბოლო ასი წლის განმავლობაში, ანუ XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე აშხარელები და ტაპანთელები ერთიან აბაზა ეროვნებად განვითარების გზას გადიოდნენო, შემდეგ კი დასძენდა: „წარსულში მივიწყებულმა, „არაისტორიულმა ეროვნებამ“ - აბაზებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პირობებში მიიღეს უფლება სოციალისტურად განვითარებად ქვეყანაში დამოუკიდებელი ეროვნული განვითარებისა. საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობით უზრუნველყო აბაზებისათვის მათი დამოუკიდებელი ეროვნულ-ენობრივი განვითარება, საკუთარი ეროვნული დამწერლობის, ბეჭდვითი სიტყვისა და მოსწავლეთა მშობლიურ, აბაზურ ენაზე მოქმედი სკოლების შექმნა. ქ. ლომთათიძეს არ სურს ყოველივე ამისათვის ანგარიშის გაწევა... ქ. ლომთათიძის „არგუმენტაცია“ ფაქტობრივად მიმართულია

დამოუკიდებელი აბაზური დამწერლობისა და უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების გზაზე მდგომი აბაზური სალიტერატურო ენის, ყოველივე იმის რეალურად არსებობის წინააღმდეგ, რაც უკავშირდება აბაზური ეროვნების განვითარებას“ (სერდიუჩენკო 1955 : 34. ხაზგასმა ჩვენია - რედ.).

3. „დამახასიათებელია, რომ ჩერქეზეთში ორგზის ყოფნის დროს აბაზა მასწავლებლების დახმარებით შეკრებილი თავისთვის საჭირო მასალები ქ. ლომთათიძემ გამოაქვეყნა აბაზებისათვის უცნობი გრაფიკით [ქართული დამწერლობით], და ისინი აბაზებისათვის სრულიად მიუწვდომლად აქცია“ (სერდიუჩენკო, 1955, გვ. 34. ხაზგასმა ჩვენია - რედ.).

შენიშვნა: რაკი ქ. ლომთათიძეს აშხარული და ტაპანთური დიალექტები აფხაზური ენის კილოებად მიაჩნდა, სრულიად ბუნებრივი იყო მის მიერ ორივე დიალექტის ტექსტების ჩაწერა და გამოქვეყნება ქართული ასოებით, ანუ იმ გრაფიკით, რომელიც 1938-1953 წლებში გამოიყენებოდა აფხაზური სალიტერატურო ენისათვის. გარდა ამისა, ქართველი კავკასიოლოგები ტრადიციულად ქართულ დამწერლობას იყენებდნენ ყველა იბერიულ-კავკასიური ენის ტექსტების ჩაწერა-გამოქვეყნებისას.

ეს მეცნიერებისაგან დაშორებული ბრალდებები იმდროინდელ რეჟიმს საჭიროების შემთხვევაში მეტად იოლად შეეძლო გამოეყენებინა ქ. ლომთათიძის, როგორც „ანტისაბჭოთა“, „არაკომუნისტურად მოაზროვნე“ და „სახელმწიფო პოლიტიკის საპირისპიროდ მოქმედი დამნაშავის“, საწინააღმდეგოდ და ამ უკანასკნელს თავს დასტეხოდა რეპრესიული ღონისძიებების მთელი კასკადი.

საინტერესოა, რომ გ. სერდიუჩენკოს „მონოგრაფიის“ ქ. ლომთათიძისეულ ეგზემპლარში იქ, სადაც მოწინააღმდეგე მას სხვა ბრალდებებსაც უყენებდა, ქართველ მეცნიერს ფურცლის კიდეზე მიუწერია: „ნამდვილი დერჟიმორდაა!“ (დერჟიმორდა ნ. გოგოლის პიესა „რევიზორის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, პროფესიით პოლიციელის გვარისგან მომდინარე ეპითეტი იყო იმ დროს).

გ. სერდიუჩენკო ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ მის მიერ „სახელმწიფო დამნაშავეებად“ გამოყვანილი ქართველი მეცნიერები ანგარიშს უწევდნენ არა პოლიტიკურ მოტივებს, არამედ, ერთი მხრივ, აფხაზური და აბაზური და, მეორე მხრივ, ადიღური და ყაბარდოული სამეტყველო ერთეულების ყველა ლინგვისტურ დონეზე არსებულ ერთიან, საზიარო ძირეულ (და არა მეორეულ) თვისებებს და სხვაობის სიმცირეს. რუსი ავტორის ლოგიკა ემყარებოდა ცარიზმისა და კომუნისტური რეჟიმების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგებს, როცა დაპყრობილ ხალხთა დენაციონალიზაციის დაჩქარების მიზნით ჯერ ცალკე ეთნოსებად აცხადებდნენ რეალურ-ისტორიულად არსებულ ხალხთა ნაწილებს, შემდეგ უქმნიდნენ დამწერლობას, „ეროვნულ“ სკოლებს, მერე კი ამ ხელოვნურად

შექმნილი „დამოუკიდებელი ეთნოსების არსებობას“ იყენებდნენ „ფაქტობრივ“ არგუმენტებად მართებულად მოაზროვნე მეცნიერთა საწინააღმდეგოდ.

გ. სერდიუჩენკოს ამ გამოხდომის შემდეგ ქართველი მეცნიერი დიდხანს მაინც რჩებოდა თავის პოზიციაზე: ტერმინ „აბაზური ენის“ ნაცვლად საჭიროების დროს იყენებდა ტერმინს „ტაპანთური და აშხარული დიალექტები“, ხოლო თუ ტაპანთურ-აშხარულთან ერთად აბჟურული და ბზიფური კილოების მოხსენიებაც სჭირდებოდა, მათ აღნიშნავდა განმაზოგადებელი შესიტყვებით „აფხაზურ-აბაზური დიალექტები“, რომელსაც 1955 წლამდეც ხმარობდა. ტერმინი „აბაზური ენა“ ქ. ლომთათიძის პუბლიკაციებში საკმაოდ გვიან, 70-იანი წლებიდან მკვიდრდება, ხოლო ტერმინი „აფხაზურ-ადიღური ენები“ მას სიცოცხლის ბოლომდე არ უარუყვია.

პირველი ნაშრომი, რომლის სათაურშიც აფხაზური და აბაზური ცალ-ცალკე ენებად მოიხსენიება, გამოქვეყნდა 1971 წელს. ეს იყო თეზისები მოხსენებისა „მახვილის სიტყვათა და ფორმათ-განმასხვავებელი ფუნქციისათვის აფხაზურსა და აბაზურში“. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესია. 1971 წლის 23-24 დეკემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1971, გვ. 18-19. ყველაზე ადრე ტერმინი „აბაზური ენა“ გამოყენებულია მხოლოდ 1973 წელს: სახელთა ცოცხლად და არაცოცხლად დაყოფის ჩანასახი აბაზურ ენაში. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესია. 1973 წლის 27-28 მარტი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1973, გვ. 5-6.

დასკვნა

ნასრომში წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტები ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა ფართო გასაქანი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო წრეებში პოლიტიკურ ბეზღობას, რასაც ჭეშმარიტ მეცნიერთა და ნამდვილი სამეცნიერო აზროვნების წინააღმდეგ იყენებდნენ უზნეო და უნიჭო პირებიც და კომუნისტური სისტემაც.

ლიტერატურა

გენკო 1955 – Генко А.Н. Абазинский язык. Грамматический очерк наречия тапанта. Москва, 1955.

ლომთათიძე 1949 – К.В. Ломтатидзе. Некоторые замечания на работы проф. Г.П. Сердюченко по абазинскому языку. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის

სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIII. სოხუმი, 1949.

ლომთათიძე 1954 - ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბილისი, 1954.

ლომთათიძე 2019 - ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ). თბილისი, 2019.

სერდიუჩენკო 1938 - Сердюченко Г.П. Об абазинских диалектах. «Сборник памяти акад. Н.Я. Марра». Ленинград, 1938.

სერდიუჩენკო 1955 - Сердюченко Г.П. Язык абазин. Известия Академии педагогических наук РСФСР, выпуск 67, Труды Института национальных школ АПН РСФСР и Черкесского научно-исследовательского института, Москва, 1955.

ელექტრონული რესურსები

<https://ru.wikipedia.org/wiki/Бубрих>

http://ru.wikipedia.org/wiki/Генко,_Анатолий_Несторович

https://ru.wikipedia.org/wiki/Сердюченко_Георгий_Петрович

http://traditio.ru/wiki/Федот_Петрович_Филин

<http://www.ruslang.ru/agens.php?id=div&sp=13>